სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოც ნოემბერს მე, საქართველოს ნოტარიუსს **დავით იმნაძეს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: *ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. №49,* მომმართა: შ.პ.ს. "ქოჩკაბლო"-ს დირექტორმა **ისმაილ ქოჩმა** *(ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B17127662, ამონაწერის მომზადების თარიღი: 20.11.2017წ. საიდენტიფიკაციო კოდი: 404547996).* მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

- **ისმაილ ქოჩის** მოთხოვნით *წინამდებარე სანოტარო აქტი შედგა ქართულ და თურქულ* ენებზე მხარის მიერ არჩეული თარჯიმნის **ნინო გოშაძის** *(დაბ. 17.11.1985წ. თბილისში, პ. № 01030010959, მის. თბილისი კუმისის ქ. N 15)* მონაწილეობით. მე, საქართველოს ნოტარიუსმა *დავით იმნაძემ* თარჯიმანი გავაფრთხილე, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე. თარჯიმანმა დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის *თურქული ენა* და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს, აგრეთვე გავაფრთხილე "მინდობილობის გამცემი" და მის მიერ არჩეული თარჯიმანი თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. *მათ დაადასტურეს, რომ არ არსებობს თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებები (სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მუხლი 24, I, III, IV და V ნაწილი).*

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **ისმაილ ქოჩმა** *(დაბ. 17.11.1985წ. თურქეთში, ქ. კარტალში, თურქეთის მოქალაქის პასპორტი P TUR U05250289, პ.№20746855894, გაც. 03.08.2012წ. გამც. ორგანო – პენდიკ, მისი განცხადებით მცხოვრები: ჩამლიქის უბანი, ფირირეის ქუჩა 1 ფენდიქი სტამბული)* მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა მან და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე სანოტარო აქტს:

მინდობილობა

"მინდობილობის გამცემი" – შ.პ.ს. "ქოჩკაბლო"-ს დირექტორი **ისმაილ ქოჩ** *(დაბ. 17.11.1985წ. თურქეთში, ქ. კარტალში, თურქეთის მოქალაქის პასპორტი P TUR U05250289, პ.№20746855894, გაც. 03.08.2012წ. გამც. ორგანო – პენდიკ, მისი განცხადებით მცხოვრები: ჩამლიქის უბანი, ფირირეის ქუჩა 1 ფენდიქი სტამბული),*

"მინდობილობის მიმღებს" – **ირაკლი ბრეგვაძეს** *(დაბ. 12.02.1973წ. თბილისში, პ/ნ 01017009554, მის: თბილისი ძმ. ზუბალაშვილების ქ. N 37 ბ. 1),*

ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

- "მინდობილობის მიმღები", „მინდობილობის გამცემს" წარმოადგენს შ.პ.ს. "ქოჩკაბლო"-ს *(საიდენტიფიკაციო №404547996)* ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, მათ შორის უფლებამოსილია: შ.პ.ს. "ქოჩკაბლო"-ს *(საიდენტიფიკაციო №404547996)* დირექტორის სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს და შეასრულოს შ.პ.ს. "ქოჩკაბლო"-ს *(საიდენტიფიკაციო №404547996)* წესდებით დირექტორისათვის მინიჭებული ნებისმიერი მოქმედება, რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით; ზ/აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად **"მინდობილობის მიმღები"** უფლებამოსილია *„მინდობილობის გამცემი"-ს* სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, მათ შორის: წარმოადგინოს *„მინდობილობის გამცემი"-ს* ინტერესები *სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებებში, საქართველოს ნებისმიერ სამინისტროში და მის დაქვემდებარებულ სამსახურებში, სანოტარო ბიუროში, საქართველოს საგადასახადო ორგანოებში, საქართველოს შემოსავლების სამსახურში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში ადგილობრივი მართველობის ორგანოებში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ)*

იურიდიულ პირთა რეესტრში, საგადასახადო ინსპექციებში, აუდიტორთან და ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან. წარმოადგინოს შ.პ.ს. "ქოჩკაბლო"-ს *(საიდენტიფიკაციო №404547996)* ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში; ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით შეასრულოს საქართველოს კანონდმებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია *„მინდობილობის გამცემის"* მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, მათ შორის მოაწეროს ხელი შესაბამის ხელშეკრულებებს, ბრძანებებს, დადგენილებებს.

- აგრეთვე წარმომადგინოს *„მინდობილობის გამცემი"-ს ინტერესები საგადასახადო ორგანოებში, საქართველოს შემოსავლების სამსახურში, ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, მართოს ნებისმიერ ბანკში* არსებული შ.პ.ს. "ქოჩკაბლო"-ს *(საიდენტიფიკაციო №404547996)* საბანკო ანგარიშები (ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში), აწარმოოს ბიუჯეტთან ანგარიშსწორება. შეაგროვოს, მიიღოს ნებისმიერი კორესპონდენცია, პინ კოდები, დიჯიპასი, ინტერნეტ ბანკის მომსახურების სარგებლობა, გადარიცხვები, ტრანსაქციები და ისარგებლოს ნებისმიერი საბანკო პროდუქციით, შეიტანოს და გამოიტანოს თანხა და გადაიხადოს გადასახადები, მიიღოს ამონაწერები საბანკო ანგარიშებიდან და პლასტიკური ბარათები და ა.შ. **ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია „მინდობილობის გამცემის" მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.**
- **მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2018 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით. ეს მინდობილობა ძალაში შედის მასზე ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.**

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია *ქართულ და თურქულ ენებზე სამ* თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება საქართველოს ნოტარიუსის **დავით იმნაძის** სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა „მინდობილობის გამცემს".

სანოტარო მომსახურეობის საზღაური 10,00 /ათი/ ლარი, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა. აგრეთვე დღგ: 1,80 /ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი/,თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 169-ე მუხლისა.* პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.* სულ (13,80) ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი.

მინდობილობის გამცემი: შ.პ.ს. "ქოჩკაბლო"-ს დირექტორი
ისმაილ ქოჩ

ისმაილ ქოჩ

თარჯიმანი ნანი გოცირიძე

ნოტარიუსი დ. იმნაძე